პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგი

„ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“

21-26 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერტიფიცირებული ტრეინინგ-კურსი „ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“, რომელსაც უძღვებოდა ამავე ფაკულტეტის პროფ. ნინო ჩხარტიშვილი. მან შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრენინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში, კერძოდ, პორტოს უნივერსიტეტში (პორტუგალია).



განხორციელებული ტრეინინგი მიზნად ისახავდა სტუ-ში ინოვაციური პედაგოგიკის ელემენტების, კერძოდ, ვიდეო ლექციებისა და გაკვეთილების პოპულარიზაციასა და განვითარებას და ამგვარად პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზებას.

კურსის პრეზენტაციის შესავალი

ხუთდღიანი ტრეინინგი ინოვაციურ სწავლებაში ითვალისწინებდა საკლასო სამუშაოს 10 საათს (მიმდინარეობდა 5 დღის განმავლობაში, დღეში 2 საათი) და, ასევე, ინდივიდუალური სამუშაოების 20 საათს (1 ECTS კრედიტი).

5-დღიან ტრეინინგს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 17 პროფესორი დაესწრო 4 სხვადასხვა ფაკულტეტიდან (ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი, საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი).



ტრეინინგის პირველი ორი დღე მიეძღვნა სწავლებისა და სწავლის პროცესში ვიდეოს გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და პრეზენტაციებს. მონაწილეებმა მოისმინეს ევროპული გამოცდილების მაგალითები და თავად აღიარეს ვიდეოების გამოყენების მნიშვნელობა სწავლის პროცესში.

პრეზენტაციის შემდეგ ტრეინინგის მონაწილეებმა იმსჯელეს ვიდეოს დადებით და უარყოფით მხარეებზე, გააკეთეს დასკვნები იმის შესახებ, რომ ვიდეო გაკვეთილები ზრდის მოტივაციას, საგნის უფრო საფუძვლიანად

დისკუსიის პროცესი

შესწავლისათვის აძლიერებს პოტენციალს.

ტრენინგის მონაწილეები გაეცვნენ სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების კონკრეტულ მაგალითებს, ასევე, Explain everything"და „Movie Maker" პროგრამების მუშაობის პრინციპებს და მიიღეს ინფორმაცია პროგრამაზე „Panopto", რომელიც პორტოს უნივერსიტეტში წლებია ადაპტირებული.
მონაწილეებმა კურსის ფარგლებში თავად იმუშავეს ვიდეო გაკვეთილების მომზადებასა და წარდგენაში.





მუშაობის პროცესი

კურსის დასკვნითი დღე მიეძღვნა მონაწილეების მიერ შექმნილი ვიდეოების პრეზენტაციებსა და საბოლოოდ, ტრეინინგ კურსის შეფასებებს.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.